პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 154
(7465)

10 1983 წ. აგვისტო ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპარტაკიადის ექო

•

სპარტაკიადა: მასობრიობა და ოსტატობა

დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადა. საქდესის სპორტული ინფორმაციის რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში შედეგებს აჯამებს სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. კოლესოვი:

● **თქვენი აზრით, რა იყო მთავარი ამ სპარტაკიადაზე?**

— როგორც წინა სპარტაკიადებზე, ახლაც მთავარი მასობრიობა გახლდათ. თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარე VIII სპარტაკიადამ ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. წინასწარი მონაცემებით მის ყველა ეტაპზე გამოვიდა 100 მილიონამდე კაცი, სტარტები ფიზკულტურის კოლექტივებში გრძელდება და მხოლოდ სეზონის ბოლოს დამთავრდება.

წლევანდელი სპარტაკიადა პირველია სკკპ XXVI ყრილობისა და პარტიისა და მთავრობის სექტემბრის (1981 წ.) დადგენილების შემდეგ.

უდავოა, რომ სპარტაკიადამ ფიზკულტურის ყველა კოლექტივს მასობრივ-სპორტული მუშაობისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზაციის უფრო სრულყოფილი ფორმების ძიებისა და გააქტიურების სტიმული მისცა.

ზაფხულის VIII სპარტაკიადა გაიმართა მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ, ოლიმპიადისა, რომელმაც ახალი იმპულსი მისცა არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო სპორტულ მოძრაობას.

ფინალურ სტარტებზე დაშვებული იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 8685 სპორტსმენი, ისინი მოამზადა 1342 მწვრთნელმა.

● **სპარტაკიადაში მეორედ მონაწილეობდნენ უცხოელი სტუმრები...**

— წლევანდელ ფინალურ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ 50-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები.

ჩვენმა სპარტაკიადამ ფართო აღიარება ჰპოვა მსოფლიოში. მოსკოვში ჩამოვიდა 200-ზე მეტი საპატიო სტუმარი. მათ შორის სოკის პრეზიდენტი და წევრები, სპორტის მინისტრები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები, საერთაშორისო და ევროპის სპორტული ფედერაციების, ასოციაციების და გაერთიანებების პრეზიდენტები.

მათი ერთსულოვანი აზრით, უცხოეთის, განსაკუთრებით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენებს ასეთი მასშტაბის სპორტულ ზეიმში მონაწილეობა ფასდაუდებელ გამოცდილებას სძენს. სპარტაკიადამ ხელი შეუწყო ხალხთა შორის მეგობრობასა და ურთიერთთანამშრომლობას, სპარტაკიადის საბჭოთა და უცხოელმა მონაწილეებმა თავიანთი ხმა შეუერთეს მშვიდობის დამცველთა ხმას.

● **როგორ აფასებთ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს?**

— მოვიშველიებ ციფრებს. დამყარდა 22 საკავშირო (მათგან 17-მა მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა), 205 — სპარტაკიადის, 300-ზე მეტი მოკავშირე რესპუბლიკების რეკორდი. შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინათ განახლდა 18 საკავშირო რეკორდი (რომელთაგან 12-მა მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა), 105 — სპარტაკიადის რეკორდი.

მაგრამ საერთო დადებითმა შედეგმა არ უნდა მიჩქმალოს სპორტის ზოგიერთ სახეობაში არსებული ნაკლოვანებები. კერძოდ, ჩვენი მძლეოსნობის მოყვარულები და სპეციალისტები ვერ დააკმაყოფილა სტაიერებისა და სპრინტერების გამოსვლამ. უკეთეს შედეგებს ველოდით მოცურავეებისგან. სპორტული შედეგები სათანადო მასალას მისცემს მწვრთნელებს გულმოდგინე ანალიზისთვის, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის დონის შესაფასებლად.

● **რას იტყოდით მსაჯთა კოლეგიის მუშაობაზე სპორტის ცალკეულ სახეობებში?**

— სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, დელეგაციის ხელმძღვანელებმა მსაჯთა მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს. ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს ემსახურებოდა 2588 მსაჯი, რომელთაგან 44 უცხოელი იყო.

უნდა ითქვას, რომ იყო დარღვევებიც. არაობიექტური მსაჯობისთვის მოგვიხდა დისკვალიფიკაცია მიგვეცა ორი მსაჯისთვის. წლევანდელ სპარტაკიადაზე სპორტის სახეობების მიხედვით პირველად შექმნილი ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ავტორიტეტული ექსპერტები, (ცდილობდა ოპერატიულად გამოესწორებინა შეცდომები.

● **როგორ აფასებთ სპარტაკიადის შედეგებს?**

— ფინალურმა სტარტებმა სპორტის თითქმის ყველა სახეობაში გამოავლინა ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენები. ზოგიერთებზე უკვე ითქვა. მინდა აღვნიშნო არა მარტო ფინალური სტარტების გამარჯვებულები და პრიზიორები, არამედ ისინიც, ვინც სპარტაკიადის წინასწარ ეტაპებზე გამოიჩინა თავი. ზოგი მათგანი მწვრთნელებმა უკვე ჩაინიშნეს და ვფიქრობ, მათ სახელებს არაერთხელ გავიგონებთ.

სპარტაკიადამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა საბჭოთა სპორტის წარმატებები, მისი მზარდი როლი სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შორის მშვიდობის განმტკიცებისა და ურთიერთგაგების საქმეში.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მონაწილეები და სტუმრები ძალზე აღელვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ. ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე დასმულია მთავარი ამოცანა: საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის ყოველმხრივი განმტკიცება, მათი შრომისუნარიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლება, სოციალიზმის მონაპოვრის, საბჭოთა ქვეყნის წმიდათაწმიდა საზღვრის დაცვისთვის სამხედრო-ტექნიკური ცოდნისა და ჩვევების დაუფლება, მაღალი ზნეობრივი და ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბება, ჯანმრთელი და ხალისიანი მოზარდი თაობის აღზრდა.

ამ ამოცანის ღირსეულად შესრულება კი უფრო ენერგიული მუშაობისთვის მოგვიწოდებს. (საქდესი).

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადა მარტო მწვავე სპორტული ბატალიები როდი გახლდათ. ეს იყო სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ათლეტთა გაცნობა-დამეგობრება, მოძმე რესპუბლიკების ტრადიციულ დღეებში მონაწილეობა, საინტერესო შეხვედრები. ამ სურათზე სწორედ ერთ-ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი — ქართველი სპორტსმენები ეწვივნენ მამაც მფრინავ-კოსმონავტებს და სამახსოვრო სურათი გადაიღეს ლეგენდარული იური გაგარინის ძეგლთან.

ა. სვერდლოვის ფოტო.

მომავალ შეხვედრამდე!

საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის დიდ და ნათელ ზეიმად იქცა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. იგი იყო მეტად წარმომადგენლობითი საერთაშორისო სპორტული ფორუმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცების, მშვიდობისათვის სპორტსმენთა მოძრაობის განვითარების საქმეში. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ სპარტაკიადა დიდხანს ემახსოვრებათ ამ სპორტული ზეიმის მონაწილეებსა და სტუმრებს. ამაზე მეტყველებს სპორტსმენების, მწვრთნელების, არბიტრების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელთა სიტყვები.

ვლადიმერ სალნიკოვი (სსრ კავშირი), სპარტაკიადის გამარჯვებული, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი.

— ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმ მაღალ შეფასებებს, რომელსაც სამართლიანად იმსახურებს საბჭოთა ქვეყანაში გამართული დიდი შეჯიბრებები, მაგრამ სპარტაკიადას მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე იგი მაგონებს გიგანტურ პირამიდას, რომლის საფუძველია არნახული მასობრიობა. ფინალურმა შეჯიბრებებმა — ამ სიმბოლური პირამიდის მწვერვალმა — ნათლად გვიჩვენა საბჭოთა სპორტის კანონი: ოსტატობის დედაბოძია მასობრიობა.

სასიხარულოა, რომ, უკვე მეორედ, ჩვენმა სპარტაკიადამ თავის დროშის ქვეშ მოუხმო სხვადასხვა კონტინენტის სპორტსმენ ახალგაზრდობას. ჩვენ გვსურს მეგობრობა, მშვიდობიანი ცხოვრება და ვიბრძოლებთ მშვიდობისთვის. ახლა ტყუილად როდი ფართოვდება სპორტსმენთა მოძრაობა მშვიდობისთვის. და ჩვენ, საბჭოთა სპორტსმენები, ამ მოძრაობის ავანგარდში ვიქნებით.

მილან ერცეგანი (იუგოსლავია), ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტი:

— თქვენი სპარტაკიადების ხშირი სტუმარი ვარ და ყოველთვის მაოცებს ამ გრანდიოზული კომპლექსური შეჯიბრების ბრწყინვალე ორგანიზაცია. დაუვიწყარია გახსნის ცერემონიალი. სპარტაკიადა გამსჭვალულია საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

მაგრამ სპარტაკიადები, განსაკუთრებით ბოლო ორი — ისტორიული მოვლენაა. სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობამ მას ინტერნაციონალური ხასიათი მიანიჭა. იგი ბევრი ქვეყნის სპორტსმენთა თანამშრომლობის კარგ ფორმად იქცა.

სპარტაკიადის პროგრამაში უცვლელად არის სამბო, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, რამაც ჩვენს სახეობას მეტი პოპულარობა მოუპოვა ახალგაზრდებში. ამ ტურნირებმა ბევრი ნიჭიერი ოსტატი გამოავლინა, ხელი შეუწყო გამოცდილება შეეძინათ, კარგი სკოლა გაიარეს აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენებმა.

22 სექტემბერს კიევში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობის სამ სახეობაში. დარწმუნებული ვარ, იქ, ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობაში წლევანდელი სპარტაკიადის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ვიხილავთ.

ტა კუანგ ტიენი (ვიეტნამი), ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარე:

— სპარტაკიადის პერიოდში დომინირებდა ორი ლოზუნგი: „ფიზკულტურა და სპორტი — ხალხს!" და „სპორტი — მშვიდობის ელჩი". ეს ლოზუნგები შესანიშნავად და სრულად ასახავენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიმართულებას და მის მასობრიობას. ყველაფერი ეს ხორციელდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე.

საბჭოთა კავშირი თავისი სპარტაკიადებით ინტერნაციონალიზმის ნიმუშია, რაც ჩვენთვის, ვიეტნამელებისთვის, ძალზე ძვირფასია.

მარია მოსკოლიუ (საბერძნეთი), მხატვარი:

— საბჭოთა კავშირში ყოფნის ორი კვირის მანძილზე თავი ზღაპარში მეგონა. შესანიშნავი იყო შეჯიბრებები, ოლიმპიური სარბიელი, მუზეუმები, თეატრები.

მე, რომელმაც წინათ ოლიმპიაში აგანთე მოსკოვის ოლიმპიადის ცეცხლი, არ დავსწრებივარ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ ვიცი, რომ ოლიმპიადა-80 ბრწყინვალედ ჩატარდა.

ძალიან მომეწონა ტანმოვარჯიშეთა პაექრობა, თითოეული მონაწილე ღირსია მოქანდაკეთა შთაგონების წყარო გახდეს.

მე, როგორც მხატვარი, ფორმის შესანარჩუნებლად ტანვარჯიშს ვიყენებ. საერთოდ კი ვარჯიშს ადამიანისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

სპარტაკიადისგან — სპორტის ნამდვილი ზეიმისგან — მიღებული შთაბეჭდილება მთელ სი-

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემზადებით ახალი სტარტებისთვის!

ორიოდე დღის წინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაში მონაწილეობდა. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, მსოფლიოს ექსჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ომარ ფხაკაძეს.** გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს:

— სპორტის გულშემატკივრებმა იციან სპარტაკიადაზე ჩვენი ველოსიპედისტების გამოსვლის შესახებ. ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით მოგიყვებით: 1000 მეტრზე გიტში ჩვენი ორი სპორტსმენი — მერაბ სურმავა და ოთარ მჭედლიშვილი გამოდიოდა. წინასწარ ვვარაუდობდით, რომ მჭედლიშვილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმას შეასრულებდა და 8 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდებოდა, მაგრამ პირველსავე სტარტზე, სადაც მჭედლიშვილი ასპარეზობდა, 80 მეტრის გავლის შემდეგ მსაჯებმა ფალსტარტი აჩვენეს. ორ წუთსაც არ გაუვლია და ისევ სტარტი! როგორც ჩანს, ოთარი დაიღალა და შედეგიც არასახარბიელო იყო. მის მიერ ნაჩვენები დრო — 1.07,27 0,7 წამით ჩამორჩება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მჭედლიშვილის შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია. სურმავამ ამ დისტანციაზე 1. 07,77 წამი აჩვენა.

4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იური ზიმენკოვი იცავდა. საკვალიფიკაციო სერიაში მისი შედეგია 4.44,060. მეოთხედფინალში იური შეხვდა საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონს ალექსი ვასილიევს, რომელთანაც 0,02 წამი წააგო. მართალია, ზიმენკოვი ვერ მოხვდა 8 საუკეთესო სპორტსმენს შორის, მაგრამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და გუნდს 30 ქულა შესძინა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებოდით გუნდური შეჯიბრებისათვის, რადგან აქ მეტი ქულა შეგვეძლო აგვეღო. გარდა ამისა, ინდივიდუალურში სულ 7 სპორტსმენი გვყავდა და არჩევანის ნაკლები საშუალება გვქონდა.

სპრინტში ჩვენი 3 სპორტსმენი მონაწილეობდა — ემზარ გელაშვილი, ოთარ მჭედლიშვილი და მერაბ სურმავა. ვვარაუდობდით, რომ გელაშვილი სამეულში, მჭედლიშვილი კი 8 საუკეთესოს შორის მოხვდებოდა. ემზარი ახალი ჩამოსული იყო უნივერსიადიდან, აკლიმატიზაცია ვერ მოასწრო, მერე გაცივდა კიდეც. ერთი სიტყვით, შეჯიბრების დღეს ცუდად გრძნობდა თავს. სამწუხაროდ, მან წააგო ორთაბრძოლა იუნიორებში მსოფლიო ჩემპიონთან, მოსკოველ ნიკოლოზ კოვშთან და III-IV ადგილებისთვის ალექსეი დოცენკოს დაუწყვილდა. თითქმის დარწმუნებული ვიყავით, რომ დუელს ემზარი მოიგებდა, მაგრამ...

გუნდურ რბოლაში სტარტი მეშვიდეებმა ავიღეთ. ჩვენი ბიჭები — პეტრე ჩევარდოვი, იური ზიმენკოვი, გენადი გოდუნოვი და და ავთანდილ მიკუჩაძე კარგად მიდიოდნენ და 6 წრის შემდეგ გრაფიკთან შედარებით 3 წამით უკეთესი შედეგი ჰქონდათ. სწორედ ამ დროს, ჩევარდოვს ველოსიპედის საბურავი გაუსკდა და გუნდის კაპიტანი ბრძოლას გამოეთიშა. რბოლას სამი სპორტსმენი განაგრძობდა. ჩვენ შეგვეძლო შეგვეჩერებინა სერია, მსაჯებმაც შეგვახსენეს ამის შესახებ, მაგრამ ალბათ აღარ ღირდა, რადგან დისტანციის ნახევარზე მეტი გავლილი იყო, ბიჭები დაიღალნენ. ბრძოლის მთელი სიმძიმე ზიმენკოვს დააწვა მხრებზე და მანაც რაინდულად ზიდა ტვირთი. ჩვენმა ნაკრებმა 4.22,6 წამი აჩვენა, 18 კოლექტივს შორის VI ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კლასის ნორმატივი შეასრულა.

ერთი საათის შემდეგ კიდევ ერთი ორთაბრძოლა გაიმართა პირველ ოთხეულში მოსახვედრად ბელორუსიის ნაკრებს შევხვდით. უპირატესობა სტარტიდანვე ჩვენი გუნდის მხარეს იყო, ფინიშამდე არც ერთ წრეზე არ ჩამოვრჩენილვართ, მაგრამ აი, უკანასკნელ 100 მეტრზე წამოგვეწია მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი მოვჩანი (მას მიჰყავდა ბელორუსიის გუნდი) და მეტოქემ 0,4 წამი მოგვიგო. IV ადგილზე გასული ბელორუსიის ნაკრების დროა 4.18,99, ჩვენი — 4.19,4. ჩვენს მიერ ნაჩვენები შედეგი 0,05 წამით უკეთესია საქართველოს ადრინდელ რეკორდზე (4.24,2).

ჯგუფური რბოლის ფინალში 28 ველოსიპედისტს (მათგან — 2 უცხოელი) შორის ჩვენი ჩევარდოვი ასპარეზობდა. ჩასათვლელ ქულას პირველი 24 სპორტსმენი იძლეოდა. მოულოდნელად ჩევარდოვი დავარდა და ტრავმა მიიღო (ამ დროისთვის ის V ადგილზე იყო), მერე ორჯერ ველოსიპედის გამოცვლა მოუხდა. საბოლოოდ პეტრე IX ადგილზე გავიდა, მაგრამ რაკი მათ შორის ერთი უცხოელი იყო, წესის თანახმად, VIII ადგილი მიაკუთვნეს. ვეტერანმა სპორტსმენმა 17 ქულა მოუტანა გუნდს. ჩვენმა ველოსიპედისტებმა VI ადგილი დაიკავეს (წინა სპარტაკიადაზე VIII ვიყავით) და 230 ქულას მოუყარეს თავი. ახლა იქნებ უადგილო და უხერხულიცაა თავის მართლება, მაგრამ შემთხვევითობა და ტრავმები რომ არა, V ადგილისთვისაც შეიძლებოდა ბრძოლა.

ტრეკზე ველორბოლაში, საერთოდ, ურიგო შედეგები არა გვაქვს, აი, საგზატკეცილო ველორბოლაში კი ჩამოვრჩებით (თუმცა წინა სპარტაკიადებთან შედარებით წლეულს რამდენიმე საფეხურით დავწინაურდით). მიზეზი ალბათ ბევრია, უმთავრესი მაინც ის არის, რომ ბაზა არა გვაქვს და რაიონებში თითქმის არ ექცევა ყურადღება სპორტის ამ სახეობის განვითარებას. მეორე საკითხის უცებ მოგვარებაზე ფიქრიც ზედმეტია (სხვა რესპუბლიკების გუნდები რამდენიმე ქალაქის ბაზაზეა დაკომპლექტებული, ერთი სიტყვით, ნამდვილი ნაკრებებია, ჩვენს გუნდში, ყველას მოეხსენება, მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები არიან), პირველი კი შედარებით იოლი გადასაწყვეტია. მოუთმენლად ველით ჩვენს ტრასაზე ასფალტის დაგებას. ვიმედოვნებთ, რომ დიდი ხნის ლოდინი აღარ დაგვჭირდება.

ვფიქრობ, გულშემატკივრებს ჩვენი გეგმებიც აინტერესებთ. კარგა ხნის წინ დავიწყეთ მზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის, რომელიც მერმის ზაფხულში გაიმართება. ჩვენი პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენები — კობა აბაიშვილი, დიმიტრი ტარასენკო, თემურ გიგალაევი, ალექსანდრე ზასლავსკი, გოჩა შავიძე, კახა ნასყიდაშვილი და სხვები — უსათუოდ თავს გამოიჩენენ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. აქედანვე ვემზადებით 1986 წლის საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის და, რა თქმა უნდა, მომავალი IX სპარტაკიადისთვის.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ჯოხარიძემ.









სურათებზე: ოსტატი და შეგირდი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე და ე. გელაშვილი. სტარტის წინ სპორტსმენი უკანასკნელ დარიგებას ისმენს; ველოტრეკზე წუთშესვენებაა; ფინიშზე; ტექნიკა წესრიგშია მოსაყვანი.

ა. სვერდლოვის (მოსკოვი)
ფოტოები.

მომავალ შეხვედრამდე!

დასასრული

ცოცხლის მანძილზე გამყვება, ისევე, როგორც თქვენი ხალხის გულკეთილობა. მახარებს საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილი დამოკიდებულება.

მაქს ბანგერტერი (შვეიცარია), ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიჟ) გენერალური მდივანი:

— წილად მხვდა ბედნიერება მეორედ დავსწრებოდი საბჭოთა ხალხთა სპარტაკიადას. საბჭოთა რესპუბლიკების უძლიერესი გუნდები მაღალ დონეზე, შეუპოვრად იბრძოდნენ მედლებისთვის.

მოსკოვში ჩამოვედი ლაიფციგიდან, სადაც დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს სპორტულ-ტანვარჯიშულ ზეიმსა და ბავშვთა და მოზრდილთა სპარტაკიადას. ორივე მოვლენა თვალნათლივ გვიჩვენებს ფიზკულტურისა და სპორტის საერთო-სახალხო ხასიათს სსრ კავშირსა და გდრ-ში. ყოველთვის, როცა თქვენთან ჩამოვდივარ, მაოცებს შეჯიბრების ზუსტი ორგანიზაცია. ამ სპარტაკიადაზეც უკანასკნელ წვრილმანამდე ყველაფერი გათვალისწინებული იყო.

საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის უდიდესი ავტორიტეტით, ნიჭიერ ტანმოვარჯიშეთა ამოუწურავი რესურსებით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები ტონის მიმცემად ითვლება მსოფლიოში. მე აღტაცებით ვადევნებდი თვალს თქვენი ტანმოვარჯიშეების გამოსვლებს და უნდა ვაღიარო, რომ ახალგაზრდა ბილოზერჩევის, კოროლიოვისა და აკოფიანის ოსტატობა განსაცვიფრებელია.

სპორტი და ახალგაზრდობა განუყოფელია. სწორედ მათზე, ვინც ახლა დგამს ფეხს ცხოვრებაში, ბევრადაა დამოკიდებული იცხოვრებს თუ არა მომდევნო თაობა მშვიდობიანად და მეგობრულად. მე სიხარულით და იმედით მივესალმები მშვიდობისთვის სპორტსმენთა მოძრაობას. მას შეუძლია და უნდა შეიტანოს კიდეც თავისი წვლილი მშვიდობისთვის ბრძოლის დიდ საქმეში.

ვალერი ბორზოვი, ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

— თავისი მასშტაბით, მონაწილეთა რაოდენობით ვერც ერთი ტურნირი ვერ შეედრება სპარტაკიადას. მისი ფინალური ნაწილი კი, რომელშიც მხოლოდ უძლიერესები მონაწილეობენ, ჩემი აზრით, ყველაზე გრანდიოზულია მოსკოვის, ოლიმპიადის შემდეგ. ამიტომ შემთხვევითი არ არის მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენელთა ინტერესი ჩვენი სპარტაკიადისადმი.

სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ყველა სახეობაში და კერძოდ მძლეოსნობაში, კონკურენცია მკვეთრად გაიზარდა. თითოეულ სახეობაში არის 10, ზოგში 20 სპორტსმენი, რომლებსაც ძალუძთ პირველობისთვის ბრძოლა. სასპარტაკიადო სტარტებმა სერიოზული ხარვეზებიც გამოავლინა. ნათელია, რომ ჰელსინკში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს სპრინტერებს გაუჭირდებათ. ჩემი აზრით, ჯერ კიდევ არასაკმარისად იყენებენ მეცნიერულ კვლევათა შედეგებს. მაგალითად, ჩემი ახალგაზრდა თანაქალაქელი ს. სოკოლოვი, რომელმაც გასულ სეზონში გაგვახარა თავისი შედეგით, ვფიქრობ, ამჯერად ზედმეტი ვარჯიშის გამო გადაღლილია. დიდ შეჯიბრებებში წარმატება ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების შრომისმოყვარეობაზე, მონაწილეთა გამბედაობასა და ნებისყოფაზე.

დიულა გეზა (უნგრეთი), ხელბურთის არბიტრი:

— სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, ჩემი აზრით, ოსტატობის უმაღლესი სკოლაა არა მარტო სპორტსმენებისთვის, არამედ არბიტრებისთვისაც.

ჯერ არც ერთ ისეთ ტურნირში არ გამოვსულვარ თემიდას მსახურის როლში, სადაც ყოველი მეორე შეხვედრა დამთავრებულიყოს ფრედ, ან ერთი-ორი ბურთის სხვაობით. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში მასობრივადაა განვითარებული ხელბურთი და ბევრია მაღალი კლასის გუნდი. შემთხვევითი არ არის, რომ ხელბურთის საბჭოთა სკოლას მოწინავე პოზიციები უჭირავს მსოფლიოში. საერთაშორისო ტურნირებში უცხოეთის სპორტსმენები ჩვეულებრივ ერთ საბჭოთა გუნდს ხვდებიან, სპარტაკიადაზე კი ხელბურთის საბჭოთა სკოლა წარმოდგენილია მთელი თავისი სიმდიდრით. მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებთა უმრავლესობა თვითმყოფადი, საინტერესო კოლექტივებია, რომლებიც თამაშის მაღალ კლასს აჩვენებენ. ამ მხრივ უცხოელ სპორტსმენებს სასპარტაკიადო ტურნირმა ბევრი რამ შესძინა.

მვანგა კენი (ზამბია), მწვრთნელი:

— ასეთი მასშტაბის სპორტულ ზეიმში მონაწილეობა ზამბიის სპორტსმენთათვის კარგი სკოლაა, ამიტომ ჩვენ მადლიერნი ვართ, რომ მოსკოვში ჩამოსვლის შესაძლებლობა მოგვეცა.

საბჭოთა კავშირში პირველად ვართ. სპორტკომპლექსი „ოლიმპიური", რომლის სარბიელზეც ოლიმპიური ტურნირი გაიმართა, ახლა კი მოკრივეები გამოდიოდნენ, ძალზე მოხერხებულია და განუმეორებელი თავისი სილამაზით. აქ ასპარეზობა ჩვენი ახალგაზრდა ათლეტებისთვის ძალზე საპატიო იყო. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების წყალობით ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ. დიდად ვუმადლოთ საბჭოთა მწვრთნელებს, რომლებმაც ტურნირის დამთავრების შემდეგ სპეციალურად ჩვენთვის ჩაატარეს საჩვენებელი გაკვეთილი.

შინ ყველას გავუზიარებთ სპარტაკიადის შთაბეჭდილებებს, ვარჯიშებზე ვაჩვენებთ ყველა იმ სიახლეს, რაც ვნახეთ. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა მეგობრების გამოცდილება დაგვეხმარება განვავითაროთ სპორტი, ავამაღლოთ ზამბიელი ათლეტების კლასი.

(საკდესი).

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები ოდესაში შეხვდნენ ადგილობრივ „ჩერნომორეცს“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტურის სხვა შედეგები:

„ჟალგირისი“ — „ტორპედო“ მ. 0:0
„დინამო“ მნ. — ცსკა 1:1
„შახტიორი“ — „დინამო“ კ. 1:2
„ნისტრუ“ — „არარატი“ 2:4
„დინამო“ მ. — „ნეფთჩი“ 3:1

I ლიგა

8 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 25-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ დონის როსტოვში შეხვდა ლიგის ლიდერს — ადგილობრივ არმიელთა გუნდს და მარცხი განიცადა ანგარიშით 0:3.

ტურის სხვა შედეგები: „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:0, „ისკრა (სმოლენსკი) — ასკ — „კარპატი“ (ლვოვი) 0:2, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 3:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „დინამო“ (კიროვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ რ.	24	14	7	3	41—18	35
„როტ.“	24	15	3	6	37—18	33
„ქაირ.“	24	13	7	4	37—19	33
„კოლოსი“	24	11	9	4	41—24	31
ასკ-„კარ.“	23	11	8	4	28—20	30
„ფაკელი“	24	11	7	6	24—14	29
„ზარია“	24	11	6	7	43—31	28
„ყუბანი“	24	10	6	8	38—28	26
„მეტალ.“	24	10	6	8	34—25	26
„კუზბ.“	24	9	8	7	35—30	26
„ლოკომ.“	24	9	6	9	35—26	24
„ტავრია“	24	8	7	9	42—40	23
„დაუგ.“	23	8	5	10	31—37	21
„დნეპრი“	24	6	9	9	26—38	21
„გურია“	24	9	2	13	25—43	20
ასკ ხ.	24	7	5	12	16—30	19
„შინიკი“	24	7	5	12	24—47	19
„ზვეზდა“	24	6	6	12	23—34	18
„პამირი“	24	5	8	11	20—33	18
„ისკრა“	24	7	3	14	24—27	17
„დინამო“	24	3	10	11	18—30	16
„ტექსტ.“	24	2	9	13	22—52	13

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა განიხილა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა და ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შედეგები 1983 წლის ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში და არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ისინი.

წარუმატებლად გამოდის ევროპის ჩემპიონატში სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი (უფროსი მწვრთნელი ვ. ნიკოლაევი). ჩატარებული 5 მატჩიდან გუნდმა მხოლოდ ერთი მოიგო. მწვრთნელები სუსტად ახორციელებდნენ სელექციურ მუშაობას, არ ამოწმებდნენ მოთამაშეთა მზადებას კლუბებში, ხოლო ფეხბურთელები ი. მენტიუკოვი („დინამო“, მოსკოვი), გ. პოზდნიაკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), მ. მესხი („დინამო“, თბილისი), ვ. გრიშკო („დინამო“, კიევი), ვ. ბროშინი („ზენიტი“, ლენინგრადი) ა. დოზმოროვი („ტორპედო“, მოსკოვი) არ გამოირჩეოდნენ მტკიცე ნებისყოფით, იჩენდნენ გულგრილობასა და უინიციატივობას.

იუნიორთა ნაკრები გუნდი (უფროსი მწვრთნელი ნ. კისელიოვი) ერთობ არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მექსიკაში. მან მარცხი იწვნია ნიგერიის, ჰოლანდიისა და ბრაზილიის გუნდებთან და თავის ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. მწვრთნელებმა ვერ შესძლეს გუნდი სათანადოდ მოემზადებინათ ამ საპასუხისმგებლო ტურნირისათვის, სერიოზული შეცდომები დაუშვეს მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ და ტაქტიკურ მომზადებაში.

ჭაბუკთა ნაკრები გუნდი (უფროსი მწვრთნელი ს. მოსიაგინი) ევროპის ჩემპიონატზე ინგლისში ტურნირის დასკვნით ეტაპზე, ვერ გავიდა, ჩვენი ჭაბუკების თამაშის საერთო დონე დაბლი იყო.

ფეხბურთის სამმართველოს მიეთითა ნაკრები გუნდების მზადების დაგეგმვისას დაშვებული შეცდომებისათვის, ამ გუნდებში სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით მუშაობაში დაწესებული სუსტი კონტროლისათვის, ერთდროულად აღინიშნა ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელთა ოსტატობის არასათანადო დონე, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებით, ოსტატთა გუნდებში არასაკმარისი ინდივიდუალური მუშაობით.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მიუთითა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელს ნ. სიმონიანს იმ სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, რომლებიც მან დაუშვა ჭაბუკთა და ახალგაზრდათა ნაკრებ გუნდებთან მეთოდურ და საორგანიზაციო მუშაობაში.

ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვ. ივანოვს საყვედური გამოეცხადა ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სპეციალიზებულ სპორტსკოლებზე სუსტი კონტროლისთვის და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების რეზერვების არასათანადო მომზადებისათვის.

ფეხბურთელთა არადამაკმაყოფილებელი მომზადებისა და დაშვებული შეცდომებისათვის ნ. კისელიოვსა და ს. მოსიაგინს გამოუცხადეს საყვედური, ვ. ნიკოლაევს სუსტი მუშაობისათვის მიეთითა. სპორტკომიტეტმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია ნ. კისელიოვის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მწვრთნელად გამოყენება.

ფეხბურთის სამმართველოს და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის დაევალათ შეიმუშაონ წინადადებები ნაკრებ გუნდებთან მუშაობის სრულყოფისათვის. ბავშვთა და ჭაბუკთა სპეციალიზებულ სკოლებსა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის გასუმჯობესებლად. შესაბამისი მითითებანი მიეცათ საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფილობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტულ კლუბსა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოს.

შეჯიბრება... უაფიშოდ

ამას წინათ თბილისში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა 1968-69 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის „ნორჩი დინამოელის“ სკოლების წარმომადგენლები.

კარგად იასპარეზეს თბილისელმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელები ვ. ნასარიძე, ა. ვაშაკიძე და რ. გაგუა), რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით — 2:0 დაამარცხეს კიევისა და მოსკოვის გუნდები და ფრედ ითამაშეს მინსკელებთან — 1:1. ისინი 5 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ, მომდევნო ადგილებზე არიან კიევისა და მინსკის გუნდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საინტერესო ტურნირი, სამწუხაროდ, არ იყო აფიშირებული, ფეხბურთის ბევრმა მოყვარულმა არ იცოდა როდის და სად თამაშობდნენ გუნდები, 14-15 წლის ფეხბურთელები ხშირად არღვევდნენ დისციპლინას, არც მსაჯობა იდგა სასურველ დონეზე.

* * *

სურათზე: სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი თბილისის „ნორჩი დინამოელი“.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

„ვერცხლი“ — თბილისელებს

უკრაინის ქალაქ ნიკოპოლში ამას წინათ მოეწყო ოლიმპიური რეზერვების ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლების საკავშირო ფინალური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები: ლენინგრადის „სმენა“ და „ზენიტი“, მინსკის, ლვოვის, პერმის, როვნოს, ნიკოპოლის გუნდები, აგრეთვე, თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის კოლექტივი (დირექტორი შ. მერკვილაძე, მწვრთნელები თ. კუბლაშვილი, მ. ანთიძე, ო. კინწურაშვილი).

თბილისელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს თავიანთ ქვეჯგუფში, დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი“, მინსკის გუნდი, ფრედ ითამაშეს „სმენასთან“ და ფინალში შეხვდნენ პარალელურ ქვეჯგუფში გამარჯვებულ ნიკოპოლის „კოლოსს“.

ფინალური მატჩი მოიგეს ნიკოპოლელებმა — 4:2 და დაიკავეს პირველი ადგილი, თბილისელები მეორე ადგილზე გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ნიკოპოლის ფინალურ ტურნირზე საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა ი. გიგინეიშვილმა, თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, ვ. მიქაშავიძემ, დ. ქადაგიძემ და სხვებმა.

ანატოლი კარპოვი:

სპორტულმა პრინციპმა უნდა გაიმარჯვოს

ჰანოვერი. 5 აგვისტოს „შტადტჰალეში“ საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს 8 ქვეყნის 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

თავისი ხასიათით, ეს ტურნირი გფრ-ის ღია პირველობაა. ასპარეზობას განსაკუთრებულ ინტერესს ჰმატებს მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობა, რომელმაც მსგავსი შეჯიბრება 1977 წელს მოიგო.

ა. კარპოვი მიიღეს ჰანოვერის მაგისტრატში, სადაც მან ქალაქის საპატიო სტუმართა ოქროს წიგნში თავისი გვარი ჩაწერა.

ტურნირის გახსნის დროს ბურგომისტრმა განაცხადა, რომ ბოლო საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში აქ 80 წლის წინათ გაიმართა და იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო მსგავსი შეჯიბრების ლოდინი ჰანოვერის მცხოვრებთ დიდხანს არ მოუწევთ.

იმავე საღამოს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონის პრეს-კონფერენცია პირველობაზე აკრედიტებულ ჟურნალისტებთან.

კითხვები ძირითადად ეხებოდა მომავალ შეჯიბრებას, მის მონაწილეებსა და მსოფლიო ჩემპიონის გეგმებს. ბუნებრივია, ჟურნალისტებს აინტერესებდათ კარპოვის აზრი მსოფლიო პირველობის გათამაშებაზე და პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე.

მსოფლიო ჩემპიონმა თქვა: დიდოსტატების ვ. სმისლოვისა და გ. კასპაროვის, აგრეთვე სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებებში ნათლადაა ნათქვამი, რომ მათ სურთ გააგრძელონ ბრძოლა პრეტენდენტთა შესარჩევ ციკლში, მაგრამ არ აპირებენ თამაშს იმ ქალაქებში, რომლებიც მატჩის მონაწილეთა სურვილების გაუთვალისწინებლად შეარჩიეს.

ამჯერად შეიქმნა მეტად ჩახლართული სიტუაცია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჭადრაკისა და სპორტის ამ სახეობის მილიონობით თაყვანისმცემელთა ინტერესების სასარგებლოდ, ფიდე-ს ხელმძღვანელობასა და მონაწილეებს შორის წამოჭრილ დავაში ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება გამოინახება.

ჟურნალისტები შეეცადნენ დაეზუსტებინათ: არის თუ არა იმისი იმედი, რომ ნახევარფინალური მატჩები გაიმართება? ა. კარპოვმა უპასუხა: „ყველა მონაწილე მზადაა მატჩისთვის, იგი ჭირდება საჭადრაკო სამყაროს, საინტერესოა ყველასთვის; ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაიმართება. საჭადრაკო ინტერესები საორგანიზაციო პრობლემებზე მაღლა უნდა დადგეს“.

ჰანოვერი. 8 აგვისტო. მას შემდეგ, რაც ფიდე-ს პრეზიდენტმა კამპომანესმა პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის ჩაუტარებლად გამარჯვებულად გამოაცხადა კორჩნოი, მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ჟურნალისტებს განუცხადა:

„პრეზიდენტის გადაწყვეტილება სამწუხაროა, როგორც ცნობილია, წესები დოგმად არ უნდა იქცეს, ისინი უნდა ემსახურებოდეს ჭადრაკისა და მოჭადრაკეთა ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა აღიარა ფიდე-ს წესდებისა და პრეტენდენტთა მატჩების რეგლამენტის არასრულყოფილება, მაინც მიიღო გადაწყვეტილება მიჰყვეს მას მონაწილეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ, და ამდენად, ეჭვის ქვეშ დააყენა ჭეშმარიტება, რომ ფიდე მოწოდებულია ემსახუროს მოჭადრაკეთა ინტერესებს და ჭადრაკის განვითარებას. პრეზიდენტის ამ ნაბიჯის შედეგების წარმოდგენა ძნელია, ვინაიდან ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოჭადრაკეთა აზრების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებები არასდროს ყოფილა პოპულარული, ყოველთვის მწვავე კრიტიკას იმსახურებდნენ.

ვ. კორჩნოის გამარჯვება ჩაეთვალა ისე, რომ მატჩი არ უთამაშია, მაგრამ მისი მეტოქე მატჩზე არ გამოცხადდა, არა საკუთარი კაპრიზის, ან შიშის, არამედ შექმნილი გარემოების გამო.

მათემატიკა საკმაოდ ზუსტი მეცნიერებაა და დღეს იგი მეტყველებს კასპაროვის სასარგებლოდ, რომელიც ფიდე-ს რეიტინგ-ფურცელზე მეორე ადგილზეა. არითმეტიკული გამოანგარიშების გაქარწყლება ვ. კორჩნოის, რომელსაც მსოფლიოში აქვს მე-11 ინდივიდუალური კოეფიციენტი და კონკურენტს მთელი 80 ერთეულით ჩამორჩება, მხოლოდ ორთაბრძოლაში შეუძლია. თუ მითი არ შეთხზეს ვ. კორჩნოის მრავალგზის აღიარებული მებრძოლის თვისებებზე, მან თავი არ უნდა აარიდოს კასპაროვთან შეხვედრას, პირიქით, უნდა ესწრაფვოდეს მას.

ჩემის მხრივ, ვიმედოვნებ, რომ მსოფლიო პირველობის მატჩში შევხვდები ღირსეულ მეტოქეს, რომელიც თავის უპირატესობას დაამტკიცებს შესარჩევი მატჩების ბრძმედში გამოვლით.

უნდა გაიმარჯვოს სპორტულმა პრინციპმა!“

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“, 9 აგვისტო.

ტურნირი ჰანოვერში

ბონი, 9 აგვისტო (საქდესი). საბჭოთა დიდოსტატი, თბილისელი თამაზ გიორგაძე სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ჰანოვერში მიმდინარე გფრ-ის მოჭადრაკეთა ღია ჩემპიონატში, თ. გიორგაძის გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ორი დიდოსტატი — მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და ი. ბალაშოვი. თითოეულს 1,5 ქულა აქვს. მესამე ტურში კარპოვმა დაამარცხა დიდოსტატი ჰ. პფლეგერი (გფრ).

ტურნირში მონაწილეობს 8 ქვეყნის 16 მოჭადრაკე, მათ შორის დიდოსტატი ლ. კავალეკი (აშშ), ე. ტორე (ფილიპინები), მ. კინტეროსი (არგენტინა).

პანორამა

● კალათბურთი

სსრ კავშირის იუნიორ კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მესამე მატჩშიც დაამარცხა ამერიკელი თანატოლები — 121:78 (64:41). ყველაზე შედეგიანები იყვნენ: სტუმართაგან — დალრიმპლი — 33 ქულა და საბჭოთა სპორტსმენი ტიხონენკო — 22.

● რეგბი

ხარკოვში გამართულ სსრ კავშირის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი და მოსკოვის „სლავა“. გაიმარჯვეს მფრინავებმა — 12:3 (9:3). მათგან ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი ი. მირონოვმა, რომელმაც გუნდს 7 ქულა შესძინა.

● ცურვა

ამერიკელმა სპორტსმენებმა ეროვნულ ჩემპიონატში ოთხი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს.

რიკ კერმა ორჯერ გადააჭარბა ჯონ ნაბერის მიღწევას, როცა 100-მეტრიანი დისტანცია 55,44-ში, ხოლო 200 მეტრი 1.58,93-ში გაცურა. მან წინანდელი რეკორდები შესაბამისად 0,05 და 0,26-ით გააუმჯობესა.

ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში უმაღლესი მიღწევა ამიერიდან ეკუთვნის სტივ ლუნდკვისტს — 1.02,34. 100 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობა მსოფლიოში საუკეთესო დროით მოიგო მეტ გრიბლმა — 53,44.

(საქდესი)

სიურპრიზები გრძელდება...

ჰელსინკი, 9 აგვისტო. მძლეოსანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე იზრდება სიურპრიზების რაოდენობა. პოლონელმა ათლეტმა ზდისლავ ჰოფმანმა, რომელსაც აქამდე მხოლოდ თავის სამშობლოში იცნობდნენ, ბრწყინვალედ შეასრულა დასკვნითი, მეექვსე ცდა სამხტომში და შედეგით 17,42 მ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. II ადგილზე გავიდა ამერიკელი ვილი ბენქსი (17,18), მესამეზე — ნიგერიელი აიავი აგბებაკუ (17,18).

პროფესიით ავტომობილების ამწყობი ზდისლავი მძლეოსნობას 8 წელია მისდევს, შარშან მსოფლიო რანგების ტაბელში 16,49 შედეგით 72-ე იყო. „მსოფლიო ჩემპიონატი ჩემთვის მხოლოდ მეორე დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაა“ — თქვა ჰოფმანმა.

რას მიაღწიეს ჩვენმა სპორტსმენებმა? მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგის (17,55) მფლობელმა ვასილი გრიშჩენკოვმა (16,29) ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმა და უძლიერესთა შორის ვერ მოხვდა. მისი შედეგი მხოლოდ 7 სმ-ით სჯობს 30 წლის წინათ ჰელსინკის ოლიმპიადაზე გამარჯვებული ბრაზილიელი და სილვას შედეგს. ეს უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება, როგორც საპატიო სტუმარი. მეორე საბჭოთა სამხტომელი გენადი ვალიუკევიჩი ძალზე მოკრძალებული შედეგით (16,41) X ადგილზე დარჩა. თუ გავიხსენებთ იმ მაღალ შედეგებს, რომლებიც ჩვენმა მხტომელებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე აჩვენეს, გამოდის, რომ ან სპორტული ფორმის მწვერვალი გადავლილია, ან სპორტსმენები არ იყვნენ მზად ასე მწვავე ბრძოლისთვის.

ორ დღეს მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლა ვაჟთა და ქალთა შორის 100-მეტრიანი დისტანციის წინასწარ და ნახევარფინალურ გარბენებში. ორი დღის მანძილზე სპორტის მოყვარულები ფინალში ქალთა შორის ეველინ ეშფორდსა (აშშ) და მარლიზ გიორს (გდრ) შორის, ხოლო ვაჟებში ამერიკელების კარლ ლიუისსა და კელვინ სმითს შორის საინტერესო „დუელის“ მოლოდინში იყვნენ. მაგრამ შედგა მხოლოდ მეორე „დუელი“. მსოფლიო რეკორდსმენი ეშფორდი მოულოდნელად შეჩერდა შუა დისტანციაზე და დაეცა. როგორც გამოირკვა, ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. გიორი პირველი მივიდა ფინიშზე — 10,97, მეორე იყო მისი თანაგუნდელი მარიტა კოხი — 11,02, მესამე — ამერიკელი დაიანა უილიამსი — 11,06.

ვაჟთა შორის ამერიკის ათლეტთა ტრიომ — ლიუისმა, სმითმა და ემეტ კინგმა, მეტოქეებს არავითარი შანსი არ დაუტოვეს და ასეთივე თანმიმდევრობით მივიდნენ ფინიშზე შედეგებით — 10,07; 10,21 და 10,24. 22 წლის სტუდენტმა ლიუისმა აღიარა, რომ ნაჩვენები შედეგით უკმაყოფილოა, თუმცა საკმაოდ ადვილად გაიმარჯვა. ჰელსინკში ჩამოსულმა მან თქვა, რომ გაიმარჯვებდა 100 და 200 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, 4X100 მეტრზე კი ესტაფეტაში „ოქროს“ მოიპოვებდა. პირობის მეოთხედი შესრულებულია, მაგრამ აშშ-ის ნაკრებიდან მიღებული ცნობით, ლიუისმა პირველ გამარჯვებას დიდი ნერვული ენერგია შეალია და 200-მეტრიან დისტანციაზე არ გამოვა.

(საკდესი).

HELSINKI 83

● მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

დედოფალი სტუმრად დედოფალთან

ძეგლს, როგორც წესი, გარდაცვლილ ადამიანებს უდგამენ, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ასეთ პატივს ცოცხლებსაც მიაგებენ ხოლმე. ყოფილა სხვაგვარი გამონაკლისიც: ადამიანს ძეგლი დაუდგამს ცხენისთვის, ძაღლისთვის, კარტოფილისთვის... ერთ-ერთი ასეთი უიშვიათესი ძეგლი ჰელსინკში, ოლიმპიური სტადიონის გვერდით დგას.

უიშვიათესთაგანიო, ვამბობ, მაგრამ შესაძლოა ის ძეგლი საერთოდ ერთადერთიც კი იყოს დედამიწაზე.

1932 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ფინელმა მძლეოსანმა მატტი იარვინენმა ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მის მიერ ნატყორცნმა შუბმა 72 მეტრსა და 71 სანტიმეტრზე იფრინა. ეს იყო მსოფლიო რეკორდი, რომელიც ძველ მიღწევას 6 მეტრით აღემატებოდა. ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა ფინელებმა, მადლიერების ნიშნად, ოლიმპიური სტადიონის გვერდით ქათქათა, 72 მეტრისა და 71 სანტიმეტრი სიმაღლის კოშკი აღმართეს.

ფინელები ისე ამაყობდნენ თანამემამულის მიღწევით, რომ ეს კოშკი საფოსტო მარკებზეც გამოსახეს, მერე ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის, თამაშების სიმბოლოდ, თავიანთი ქვეყნის სპორტის და, ლამის ჰელსინკის სიმბოლოდაც კი აქციეს.

რამდენიმე დღის წინათ ამ 72 მეტრისა და 71 სანტიმეტრის სიმაღლიდან ოლიმპიურ სტადიონსა და მთელ ჰელსინკს გადავყურებდი. ოლიმპიური სტადიონი მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა.

საოცარია, რომ სპორტის ამ უძველეს სახეობაში აქამდე არ გამართულა მსოფლიოს მძლეოსანთა ფორუმი. და რაკი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის პირველი ფურცელი უკვე იწერება, ალბათ კანონზომიერია, რომ მისი პირველი სტრიქონები ჰელსინკში ივსება. ფინელებმა იციან მძლეოსნობის ყადრი და ამ სახეობაში ფრიად საამაყო ტრადიციებიც აქვთ.

1917 წლამდე ფინეთი თუმცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში მუდამ დამოუკიდებლად მონაწილეობდა და საკმაოდ დიდი მიღწევებიც ჰქონდა, განსაკუთრებით მძლეოსნობაში. ფინელი ათლეტები ოლიმპიურ სარბიელზე პირველად 1908 წელს გამოვიდნენ.

ოლიმპიური თამაშების მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე კარგი შედეგები აშშ-ს მძლეოსნებს ჰქონდათ. 1912-36 წლებში მათ ყველაზე მძაფრ კონკურენციას სწორედ ფინელები უწევდნენ, მრავალ სახეობაში კი აშკარა ჰეგემონიას ფლობდნენ. მაგალითად, 1932 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე შუბის მტყორცნელ ვაჟთა მთელი საპატიო კვარცხლბეკი ფინელებმა დაიკავეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა მატტი იარვინენი — 1906 წელს ათენში გამართული რიგგარეშე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ვილია იარვინენის ვაჟიშვილი.

შეჯიბრების შემდეგ ბედნიერ მატტის უთქვამს, მამისა და ძმის — ახილას მაგალითებმა გამამხნევესო. მართალია, ახილა ოლიმპიური ჩემპიონი არ იყო, მაგრამ 1928 და 1932 წლების ოლიმპიურ თამაშებში მძლეოსნობის ყველაზე რთულ სახეობაში — ათჭიდში ვერცხლის პრიზიორი გახდა.

იარვინენების ოჯახის გარდა ვერავინ დაიტრაბახებს ორი ოლიმპიური ჩემპიონითა და ორგზის ვერცხლის პრიზიორით, რომელთაგან ერთი მსოფლიო რეკორდსმენიც იყო.

საინტერესოა, რომ მატტი იარვინენის რეკორდი იარვინენის 72-მეტრიანი კოშკის ჩრდილქვეშ, ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე დაემხო.

ვამბობთ, ფინელ მძლეოსნებს ფრიად საამაყო ტრადიციები აქვთო და გვახსენდება სხვა კაშკაშა ვარსკვლავებიც, მათ შორის ვილი რიტოლა, რომელმაც 1924-1928 წლებში ხუთი ოქროსა და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

...72 მეტრისა და 71 სანტიმეტრის სიმაღლიდან დავყურებდი ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონს და ვფიქრობდი იმაზე, თუ ფინელებმა რაოდენ დიდი პატივის მიგება იციან თავიანთი ოლიმპიური ჩემპიონებისადმი, საქვეყნოდ სახელგანთქმული მძლეოსნებისადმი. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ორს გავიხსენებ.

ფინეთის მორბენალთა „დინასტიის დამფუძნებელმა“ სტაიერმა ჰანეს კოლეხმაინენმა თავის ქვეყანას შორს გაუთქვა სახელი, როცა 1912-1920 წლების ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მადლიერმა ფინელმა ხალხმა კოლეხმაინენს თავის მშობლიურ ქალაქ კუოპიოში ბრინჯაოს ქანდაკება დაუდგა.

ფინელებს, რასაკვირველია, არც პაავო ნურმი დავიწყებიათ. ამდენი გამარჯვება მსოფლიოს არცერთ მძლეოსანს არ მოუპოვებია. პაავო ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი იყო 1920, 1924 და 1928 წლებში. იმავე წლებში სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა, მსოფლიოს რეკორდები კი 24-ჯერ გააუმჯობესა.

ცნობილმა ფინელმა საჰრეთლის დიდოსტატმა ვიაინე აალტონენმა პაავოს ბრინჯაოს ქანდაკება ჩამოასხა და ნურმი იმ უიშვიათესთაგანად იქცა, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი.

მორბენალ ნურმის ძეგლი ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის მისადგომებთანაა აღმართული. ასეთივე ძეგლი ვნახეთ ფინეთის ქალაქ ტურკუში. ერთგანაც და მეორეგანაც პაავო ნურმის ქანდაკების კვარცხლბეკთან მუდამ ცოცხალი ყვავილების კონები აწყვია.

...გავიხსენოთ ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი ურხო კეკონენი, რომელიც ახლა ჰელსინკის განაპირას, ტბასთან, მწვანეში ჩაფლულ კოხტა, პატარა სახლში ცხოვრობს.

კეკონენი მძლეოსანი გახლდათ და მერე როგორი მძლეოსანი. 1920-1926 წლებში იგი იყო ფინეთის რეკორდსმენი 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში, აგრეთვე სიმაღლეზე ხტომაში. კეკონენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ადგილიდან სამხტომში. 1920 წელს ანტვერპენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, 1938-1946 წლებში კი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს თავმჯდომარეობდა.

ჰოდა, განა გასაკვირია, რომ ისეთი მძლეოსნური ტრადიციების ქვეყანა, რომლის ყოფილი პრეზიდენტიც ყველაზე „სპორტულ“ სახელმწიფო მეთაურად ითვლებოდა, მძლეოსანთა I მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს?

ჩემპიონატისთვის ფინელები საგულდაგულოდ მოემზადნენ. აქ 158 ქვეყნის ათლეტები ჩამოვიდნენ, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე კი მხოლოდ 69 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ამიტომ ოლიმპიურ სტადიონზე დაახლოებით 5000 ადგილი (დროებითი ტრიბუნები) დაამატეს.

თავად სპორტსმენები ესპოოში დააბინავეს. ესპოო ჰელსინკის მახლობლად მდებარეობს. მისი კონტურები იარვინენის კოშკიდანაც მოჩანს. ესპოო წინათ სოფელი იყო და მხოლოდ 1963 წელს მიიღო ქალაქის ტიპის დასახლების სტატუსი. სულ რაღაც 9 წლის მერე ქალაქადქცეულმა თავისი თანამედროვე არქიტექტურის წყალობით შორს გაითქვა სახელი.

ქალაქი კუნძულებზეა გაშენებული და მთლიანად მწვანეშია ჩაფლული.

ესპოოში ჩვენ ვნახეთ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა საცხოვრებელი კოხტა სახლები, სადაც სპორტსმენები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც აგარაკზე. ქუჩაში მოძრაობა სახიფათო რომ არ იყოს, სპორტსმენების საცხოვრებელ ადგილებთან ტროტუარები მავთულის ბადით გამოუყვიათ საავტომობილო გზისაგან.

...იარვინენის კოშკზე მდგარს მთელი ჰელსინკი ხელის გულზე გადაგეშლება. ჰორიზონტზე ბალტიის ზღვა მოჩანს. საითაც გაიხედავ, ყველგან ტბებია, ამ ქვეყანას ამიტომაც უწოდებენ ათასი ტბის ქვეყანას, თავად ჰელსინკისათვის კი დედაქალაქელებს სიყვარულით ბალტიის ზღვის დედოფალი დაურქმევიათ.

ჰელსინკში და საერთოდ ფინეთის სხვა ქალაქებში ფეხის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა „ბალტიის ზღვის დედოფალთან“ „სპორტის დედოფლის“ მოახლოება.

...იარვინენის კოშკიდან ოლიმპიურ სტადიონს დავცქერი. 1952 წელს კი სწორედ აქ, ამ სტადიონზე, შედგა საბჭოთა ოლიმპიელების ბრწყინვალე დებიუტი. დებიუტანტთა შორის ბევრი ქართველი სპორტსმენი იყო. მათგან ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელი, მოჭიდავეები დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი. გვყავდნენ სხვა პრიზიორებიც.

აქ, ამ სტადიონზე, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი ოქროს მედალი მოუტანა საბჭოთა სპორტსმენებს სახელგანთქმულმა ბადროს მტყორცნელმა, ნ. პონომარიოვამ, ნ. დუმბაძე კი მესამე იყო.

აქ, ამ სტადიონზე, ვერცხლის მედალი მოიპოვა მორბენალმა ლევან სანაძემ, მესამე პრიზიორი გახდა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი.

ვიხსენებდი მათ და იმავ დროს გული მწყდებოდა, რომ საბჭოთა მძლეოსნების დელეგაციაში საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ იყო, რათა თუ არ გაიმარჯვებდა, მონაწილეობა მაინც მიეღო ამ ისტორიულ ჩემპიონატში.

ა. გურასაშვილი.

ჰელსინკი — თბილისი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: პაავო ნურმის ქანდაკება და მატტი იარვინენის კოშკი ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის მისადგომებთან.

ავტორის ფოტო.

სერგო ბარლიანი

უცაბედად მოვარდნილმა ელვამ იმსხვერპლა შესანიშნავი ქართველი მთამსვლელი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი სერგო მაგედანის ძე ბარლიანი. ალპინისტთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული სპორტსმენი და მოქალაქე, პატიოსანი, გულისხმიერი ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების უცვლელი წევრი, მისი იმედი იყო.

ს. ბარლიანი დაიბადა 1943 წელს მესტიაში. მწვერვალების დაპყრობის სურვილი, მთების სიყვარული ბავშვობიდანვე მოეძალა და ამ სიყვარულისთვის არასოდეს უღალატია. მთამსვლელობა უახლოესი ნათესავის, სახელგანთქმული მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით დაიწყო და რამდენიმე წელიწადში უძლიერეს ალპინისტთა რიგებში ჩადგა. სერგოს საუცხოო ფიზიკური მონაცემები, კლდეზე ცოცვის იშვიათი ტექნიკა ჰქონდა და კავკასიონისა და პამირის არაერთი რთული მწვერვალი დაიპყრო კიდეც. მათ შორის, აილამა სამხრეთის კედლით, ცენტრალური შხარა, შტავლერი, ჭაუხი, წურუნგალა, „კომუნიზმის“, „კორჟენევსკაიას“, „მოსკოვის“ პიკები და სხვა.

1975 წელს ს. ბარლიანი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს, მონაწილეობდა საკავშირო შესარჩევ-საწვრთნელ შეკრებებში, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროსა და ვერცხლის მედლები. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის — „კომუნიზმის“ პიკის (7495 მ) იერიშის დროს სერგო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, წარმატებით შეასრულა დასახული ამოცანა და ნაკრების ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურა.

ს. ბარლიანმა წარმატებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. როგორც ალპინიზმის ინსტრუქტორი, აქტიურად მონაწილეობდა მასობრივ ასვლებში, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელობის სექციის მუშაობაში, უშურველად უზიარებდა გამოცდილებას ახალგაზრდა ალპინისტებს, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მათ შორის.

ბოლო ასვლა საბედისწერო გამოდგა სერგო ბარლიანისთვის... უდროოდ წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი სპორტსმენი, ჩინებული მეოჯახე და კეთილშობილი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობელმეგობართა და ქართული ალპინიზმის, ქართული სპორტის გულშემატკივართა შორის.

საქართველოს სპორტკომიტეტი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჟიჟინაძე.

საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი

სერგო მაგედანის ძე ბარლიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07698